სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

05/11/2026

MES 6 26 0001607810

ბრძანება

თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2026 წლის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის კონკურსში გამარჯვებული კანდიდატების დამტკიცების შესახებ

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის დაწესების და კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 23 ივლისის N965028 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და "ჟ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1599030, 4.11.2026) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები შიფრით:

ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - RA-26-006; RA-26-164;
ბ) ინჟინერია და ტექნოლოგიები - RA-26-130;
გ) სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები - RA-26-061; RA-26-149;
დ) აგრარული მეცნიერებები - RA-26-212 , RA-26-214;
ე) სოციალური მეცნიერებები - RA-26-012; RA-26-035;
ვ) ჰუმანიტარული მეცნიერებები - RA-26-000; RA-26-166;

2.დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული გამარჯვებული კანდიდატებისთვის დაწესებული ფულადი პრემიების გადაცემა;

3.დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
4.ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი